განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ონლაინ დისტანციური სწავლის პროცესში სკოლის გამოცვლის გამოცდილების ფენომენოლოგიური კვლევა

ავტორები: ანი საჯაია, ნატო ქველაძე, რუსუდან მარკოზაშვილი
რედაქტორი: ნათია ანდღულაძე
ანგარიში მომზადდა კურსის „კვლევის მეთოდები განათლებაში“ ფარგლებში

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა ჩატარდა ფენომენოლოგიური მიდგომით, რომლის მიზანი გახლავთ იმ მოსწავლეთა პირადი გამოცდილების შესწავლა, რომლებმაც პანდემიის პერიოდში შეიცვალეს სკოლა და არ იცნობენ არც მოსწავლეებს და არც მასწავლებლებს. კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ 17 სიღრმისეული ინტერვიუ, რომელთა საშუალო დრო შეადგენდა 40 წუთს. გავაკეთეთ ინტერვიუების აუდიო ჩანაწერი და მათი წერილობითი ტრანსკრიპტები. შეგროვებული მონაცემების კოდირება მკვლევრებმა გავაკეთეთ ცალ-ცალკე, ხოლო ინტერპრეტაციაზე ვიმუშავეთ ერთად. რესპონდენტები შევარჩიეთ ჰომოგენური შერჩევის მეთოდით. კვლევაში მონაწილეობის მისაღებად რესპონდენტი უნდა ყოფილიყო საბაზო ან საშუალო საფეხურის სკოლის მოსწავლე, რადგან, დაწყებითი საფეხურისაგან განსხვავებით, ისინი არ დაუბრუნებიან საკლასო ოთახებს. არჩევანი შევაჩერეთ თბილისის სკოლებზე, რადგან რაიონებში მაღალი იყო რისკი იმისა, რომ ახალ მოსწავლეს სკოლის გარეთ ჰქონოდა კლასელებთან ან მასწავლებლებთან კავშირი. კვლევის ფარგლებში მივიღეთ ორი ძირითადი შედეგი: გამოკითხულთა უმრავლესობა ახალ გარემოსთან ვერ ადაპტირდა, ნაწილი კი თავს ახალ სკოლაში კომფორტულად გრძნობს. ყოველივე ამის მიზეზები და დამატებითი ტენდენციები განხილულია კვლევის ანგარიშში.

შესავალი

2020 წლის მარტში ნახევარი მილიონი მოსწავლე სკოლის შენობებს მიღმა აღმოჩნდა. ბავშვებს მათთვის უჩვეულო გარემოში და ფორმატით მოუწიათ სწავლის გაგრძელება. საქართველოს მასშტაბით სწავლა დისტანციურად განახლდა. მოსწავლეების ნაწილი პანდემიამ დამატებითი გამოწვევის წინაშე დააყენა. პანდემიის დროს ბავშვების ნაწილს სკოლის შეცვლა მოუწია, რამაც კიდევ უფრო გაართულა მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტირების პროცესი. 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე მხოლოდ თბილისში, საბაზო საფეხურის 2162 და საშუალო საფეხურის 1716 მოსწავლემ შეიცვალა სკოლა.

მოსწავლეთათვის სკოლის შეცვლა და ახალ გარემოსთან ადაპტირება რთული პროცესია და ხშირ შემთხვევაში სტრესის გამომწვევი მიზეზიც შეიძლება გახდეს. ბავშვები მრავალი გამოწვევის წინაშე დგებიან, როდესაც ცდილობენ ახალ სასკოლო გარემოსთან ადაპტირებას. მაგ: საკლასო რუტინასთან ადაპტირება, რთული აკადემიური ამოცანების შესრულება, ასევე ახალ ურთიერთობებთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვა. ამ პროცესზე გავლენას ახდენს მოსწავლის ასაკი, სქესი, ჩვევები, ასევე, მისი ურთიერთობა მშობლებთან და თანატოლებთან. ბავშვები, რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ თანაკლასელებთან, თავს უფრო კომფორტულად გრძნობენ სკოლაში და მეტად არის მოსალოდნელი, ისარგებლონ სხვადასხვა სოციალური და სასწავლო შესაძლებლობით (Birch & Ldd, 1996).

ჩვენი კვლევა მიზნად ისახავდა გამოცდილების შესწავლას იმ მოსწავლეებისა, რომლებსაც სკოლის შეცვლა კიდევ ერთი გამოწვევის - პანდემიის პარალელურად მოუწიათ.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდად შევარჩიეთ ფენომენოლოგიური კვლევა. ფენომენოლოგია არის თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლის მთავარი მიზანია უშუალო გამოცდილების შესწავლა. ფენომენოლოგიური მიდგომა ხასიათდება იმით, რომ მკვლევრის გავლენა სიტუაციის სტრუქტურირებაში, ანალიზსა და ინტერპრეტაციაში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ეს ტრადიციულად ორიენტირებული კვლევის შემთხვევაში (Cohen et al., 2007). მაგალითად, თუ თვისებრივი კვლევის სხვა მიდგომების გამოყენებისას მკვლევარი წინასწარ საზღვრავს საკვლევ კითხვებს და ამ კითხვებიდან გამომდინარე უსვამს შეკითხვებს რესპონდენტებს, ფენომენოლოგიური მიდგომის არჩევის შემთხვევაში, საკვლევ კითხვებს წინასწარ არ განვსაზღვრავთ; კონკრეტული საკვლევი თემა უშუალოდ რესპონდენტების ნარატივებიდან უნდა გამოიკვეთოს. შესაბამისად, ინტერვიუს შეკითხვებიც რესპონდეტების გამოცდილებაში, რესპონდეტებისთვის მნიშვნელოვან საკითხებში ორინტაციის მიზნით შემუშავდება.

ჩვენ მიერ შერჩეული კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩავატარეთ იმ ბავშვებთან, რომლებმაც 2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე შეიცვალეს სკოლა. ინტერვიუ ჩატარდა ონლაინ, დისტანციური ფორმატით. ინტერვიუს ჩატარებამდე შევიმუშავეთ ინტერვიუს პროტოკოლი, რომელიც ინტერვიუს დაწყებამდე გავაცანით კვლევის თითოეულ მონაწილეს. პროტოკოლს იხილავთ კვლევის ბოლოს, დანართის სახით. ინტერვიუს პროტოკოლში წარმოვადგინეთ რამდენიმე ზოგადი შეკითხვა, რათა კვლევაში მონაწილეთათვის არ მიგვეცა მიმართულება და ამით არ დაგვერღვია ფენომენელოგიური მიდგომის მთავარი პრინციპი. ინტერვიუ ჩავატარეთ 17 რესპონდენტთან. მათ შორის, ორი VII კლასელი (12 წლის), ხუთი VIIIკლასელი (13 წლის), ხუთი X კლასელი (15 წლის), სამი XI (16-17 წლის), ორი XII კლასელი. რესპონდენტებს შორის 12 გოგონა იყო და 5 - ვაჟი. საჯარო სკოლიდან საჯაროში გადავიდა 8 მოსწავლე, საჯარო სკოლიდან- კერძოში 3 მოსწავლე და კერძო სკოლიდან საჯაროში - 6 მოსწავლე. კვლევაში მონაწილე 10 მოსწავლეს პანდემიამდე ჰქონდა სკოლის შეცვლის გამოცდილება, ერთმა მოსწავლემ პანდემიის პერიოდში ორჯერ შეიცვალა სკოლა, ხოლო დანარჩენ 6 მოსწავლეს კი პირველად მოუწია სკოლის შეცვლა.

დესკრიპტული ვალიდობის გასაზრდელად ჩავიწერეთ ინტერვიუების აუდიო ჩანაწერი და მათი წერილობითი ტრანსკრიპტები. ინტერპრეტაციის ვალიდობის გასაზრდელად, საწყის ეტაპზე სამივე მკვლევარმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიანიჭა კოდები ჩვიდმეტივე ინტერვიუს ტრანსკრიპტს. შემდეგ კი შედეგები გაერთიანდა ერთობლივი მსჯელობის შედეგად. მიუხედავად ჩვენ მიერ კვლევის ვალიდობის გაზრდისთვის მიღებული ზომებისა, მკვლევების გამოუცდელობა კვლევის მნიშვნელოვან შეზღუდვად რჩება. გარდა ამისა, ვერ მოვახერხეთ ინტერპრეტაციის შედეგების რესპონდენტებთან გადამოწმება, რაც, როგორც

წესი, მნიშვნელოვნად ზრდის ხოლმე თვისებრივი კვლევის ინტერპრეტაციის ვალიდობას (Cohen et al., 2007).

კვლევის შედეგები

მონაცემების კოდირებისა და მათი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი თემა - მოსწავლეთა ინტეგრაცია ახალ გარემოსთან. ამ პროცესში კი კომუნიკაციის მნიშვნელობას თითქმის ყველა რესპონდენტი უსვამდა ხაზს. გამოვყავით მოსწავლეთა ორი კატეგორია: ისინი, ვინც ვერ ადაპტირდნენ ახალ გარემოსთან (რესპონდენტთა უმრავლესობა) და ისინი, რომლებმაც ეს ეტაპი წარმატებით გაიარეს.

პირველი კითხვა, რომელიც რესპონდენტებს დავუსვით შემდეგში მდგომარეობდა: გაიხსენეთ პირველი დღე სკოლაში და რაც შეიძლება დაწვრილებით მოგვიყევით ამ დღის გამოცდილების შესახებ. მოცემული შეკითხვის პასუხად, მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა პირველი დღის ემოციებზე. მათი თქმით, განსაკუთრებით რთული იყო და მეტად ნერვიულობდნენ პირველ სასწავლო დღეზე. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ შთაბეჭდილებას დატოვებდნენ მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე. ის მოსწავლეები, რომლებმაც სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოახერხეს კლასელების გაცნობა (იქნებოდა ეს ვირტუალურად თუ პირისპირ, მაგ: სახელმძღვანელოების აღებისას), შედარებით მშვიდად და კომფორტულად გრძნობდნენ თავს. ერთ-ერთმა მოსწავლემ მოგვიყვა, რომ მას დაუკავშირდნენ ახალი კლასელები, დაამატეს კლასის საერთო ჯგუფში, ასევე მიაწოდეს ინფორმაცია მასწავლებლების შესახებ, თუ როგორი სწავლების სტილი ჰქონდა თითოეულს. შესაბამისად, კლასელების ასეთმა მხარდაჭერამ დადებითად იმოქმედა მოსწავლის ემოციურ მდგომარეობაზე. მოსწავლეთა პასუხებიდან გამომდინარე, მკვლევრები შევეცადეთ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მოგვეპოვებინა ამ თემასთან დაკავშირებით.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა დამატებით რამდენიმე ტენდენცია, რასაც მოსწავლეები სირთულედ აღიქვამდნენ. ერთ-ერთი ასეთი იყო მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეთათვის კამერის ჩართვის მოთხოვნა: - “რუსულის მასწავლებელმა მთხოვა კამერა ჩამერთო და დავნახებოდი. ჩავრთე კამერა, მაგრამ ძალიან ვინერვიულე. წინასწარ ვფიქრობდი, არ ჩავრთავდი. საერთოდ დღემდე არ მიყვარს კამერის ჩართვა, მრცხვენია... კომპლექსი მაქვს”; “სულ ვცდილობდი მასწავლებელს რომ ვერ შეემჩნია, მაშინ გამომერთო კამერა. თუ არ მითხრეს, ისე არ ვრთავ ხოლმე, არ მიყვარს...”.

გარდა ამისა, ზოგი მოსწავლისთვის სირთულეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ონლაინ სივრცეში მათ კარგად ვერ გაიცნობდნენ, ან რაიმე არასწორად რომ ეთქვათ, ამის გამო, შესაძლოა, ცუდი იმიჯი შექმნოდათ: “-რამე ცუდი რო მეთქვა, ან რამე არასწორი, ცუდი იმიჯი შემექმნებოდა. ვნერვიულობდი, თუ როგორი შთაბეჭდილება დარჩებოდათ ჩემზე ბავშვებს”. უარყოფის შიშის გამო ხშირ შემთხვევაში თავს არიდებდნენ საერთო სასაუბროში კომუნიკაციასაც.

მოსწავლეთა ნაწილი, ასევე, ნერვიულობდა იმაზე, რომ პროგრამულად არ ყოფილიყო აცდენილი ახალი სკოლის მასალასთან: -”შეშინია მასწავლებელმა რაიმე ისეთი არ მკითხოს, რაც არ მეცოდინება”.

კვლევაში ჩართული მოსწავლეთა ნაწილი, რომელიც თავს ახალ გარემოში კომფორტულად გრძნობდა, მიზეზად ასახელებდა მათ წინარე გამოცდილებას. ერთ-ერთი მოსწავლის სიტყვებით: -"უკვე 5-6-ჯერ მაქვს სკოლა შეცვლილი და რეაქცია საერთოდ აღარ მაქვს ახალ გარემოზე". სხვა მოსწავლეთა შემთხვევაში კი ეს მისმა პიროვნულმა თვისებებმა გამოიწვია.

მოსწავლეებთან ემოციებზე საუბრისას დავსვით შემდეგი კითხვა: რა გრძნობაა თქვენთვის, იყოთ ახალი მოსწავლე დისტანციური სწავლების დროს? მოსწავლეებმა რამდენიმე საინტერესო პასუხი გაგვცეს: გამოკითხულთა ნაწილმა მოგვიყვა, რომ ისინი თითქმის არ იცნობენ და არანაირი კონტაქტი აქვთ თავიანთ ახალ კლასელებთან, არც კლასის გარეთ და არც გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში. ყოველივე ეს , თავის მხრივ, გარკვეულ პრობლემებს წარმოშობს. მაგალითად: მოსწავლეები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ დაეკარგათ მოტივაცია/ინტერესი და გაკვეთილებზე დასწრებისა და მასში მონაწილეობის სურვილიც კი არ გააჩნიათ. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ ახალ მოსწავლეთა ნაწილს კითხვის დასმის შიში აქვს და გაკვეთილზე ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. ერთ-ერთმა მოსწავლემ იდენტობის პრობლემაც წამოჭრა. მისი თქმით, თავს ვერც ძველი კლასის წევრად გრძნობს და ვერც ახლის, ამას კი ძალიან განიცდის.

რამდენიმე მოსწავლე, უმრავლესობისგან განსხვავებით, თავს კლასის სრულფასოვან წევრად თვლიდა და აღნიშნავდა, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო მასწავლებლის მხრიდან მათი მიმღებლობა და კლასთან ადაპტირებაში დახმარება: "ავუხსენი, რომ უცხოეთში ვსწავლობდი. არ არის პრობლემა ძლიერი მასწავლებლები გვყავს და დაგეხმარებიანო, - მითხრა დამრიგებელმა. ამის შემდეგ დავმშვიდდი". ერთ-ერთმა მოსწავლემ ისიც აღნიშნა, რომ ახალ კლასში გადასვლამ მოტივაცია აუმაღლა, რადგანაც აქ, განსხვავებით ძველი კლასისაგან, მოსწავლეები კარგად სწავლობდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასკოლო აქტივობებში. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვითხრა, რომ მას სურდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს დამახსოვრებოდა, ამიტომ ყოველთვის რთავდა კამერას და აქტიურობდა გაკვეთილებზეც.

მომდევნო შეკითხვა ეხებოდა მათ ახალ კლასელებთან ურთიერთობის პირად გამოცდილებას. მოსწავლეთა ნაწილმა გვითხრა, რომ საერთოდ არ აქვთ კონტაქტი ახალ კლასელებთან. მათ ურჩევნიათ, პირისპირ შეხვდნენ და გაიცნონ ახალი თანაკლასელები, ვიდრე ონლაინ. შესაბამისად, არანაირ ინიციატივას იჩენენ ურთიერთობის დასაწყებად. ერთ-ერთი მოსწავლე ახალ კლასელებთან ურთიერთობისას აღნიშნავს, რომ ვირტუალურ და რეალურ სივრცეში მისი შეხედულება/წარმოდგენა ახალი მოსწავლეების მიმართ ერთმანეთს არ დაემთხვა. "-ონლაინ საყვარლები ჩანდნენ, წიგნების გამოსატანად რომ მივედი, ისე ჩაგვიარეს, თითქოს იქ არ ვიყავით. ცოტა არ იყოს, მეწყინა. .. მე ასე არ მოვიქცეოდი".

ერთ-ერთი კითხვა, რომელიც დავუსვით მოსწავლეებს იყო: თქვენ რომ ყოფილიყავით მასწავლებელი/მოსწავლე და თქვენს კლასში გადმოსულიყო ახალი მოსწავლე, როგორ მოიქცეოდით? ამ შეკითხვაზე პასუხმა მოგვცა ინფორმაცია, თუ რას ელოდნენ და რას თვლიდნენ ისინი ახალი მოსწავლეების/მასწავლებლების მოვალეობად მათ წინაშე. როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეთა ნაწილი კლასის მხრიდან ელოდა ინიციატივის გამოჩენას, რადგანაც, მათი აზრით, კლასის მიმღებლობა ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მოსწავლეთა ნაწილმა კი პირადი ინიციატივის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

გარდა იმ საინტერესო ტენდენციისა, რომელიც კომუნიკაციასთან დაკავშირებით გამოვლინდა, კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, გამოიკვეთა დამატებით საინტერესო ფაქტები, რომლებიც ყველა რესპონდენტისთვის საერთო არ არის, თუმცა, მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, კვლევის ანგარიშში ეს ნაწილიც განგვეხილა.

პირველი საინტერესო ფაქტი, რომელიც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა იყო მოსწავლეთა ემოციური მდგომარეობა. ინტერვიუს დროს ისინი იყვნენ ემოციურები ამ თემაზე საუბრისას. მაგალითად, ამბობდნენ, რომ მათ უნდათ მეგობრები, რეალური გარემო, რომ მალე დაბრუნდნენ სკოლაში, ჰყავდეთ ახალი მეგობრები და ა.შ. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ერთ-ერთმა მოსწავლემ უარიც კი განაცხადა ინტერვიუზე, რადგანაც მისთვის იმდენად სენსიტიური იყო ეს თემაა, რომ საუბარიც კი არ სურდა ამაზე.

შემდეგი საინტერესო ფაქტია სიფრთხილის გამოჩენა მეგობრების არჩევისას. რესპონდენტმა საუბრისას აღნიშნა, რომ ჯერ ის არ შედის ურთიერთობაში, რადგან არ იცის ვინ როგორი ადამიანია, ნდობა არ აქვს მათი და ფრთხილად ირჩევს მეგობარს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც კი აღნიშნა, რომ ეშინია ცუდი ზეგავლენის ქვეშ მოექცეს თანატოლების მხრიდან.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოსწავლის მოტივაციაზე, რიგ შემთხვევაში დადებითად იმოქმედა კონკურენტულმა გარემომ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გვითხრა, რომ ახალ სკოლაში ძველი კლასისაგან განსხვავებით ბევრი კარგი მოსწავლე იყო და ისიც უფრო მოტივირებული და მობილიზებული გახდა.

რესპონდენტებმა თავიანთი გამოცდილებიდან გამოკვეთეს ის ფაქტიც, რომ ხშირად ექცევიან ყურადღების ცენტრში. მათ სულ კითხვებს უსვამენ მასწავლებლები, რათა გაიგონ მათი შესაძლებლობები, უნარები და ა.შ.

რესპონდენტებმა, აგრეთვე, გასცეს რეკომენდაციები, რომლებსაც უცვლელად გთავაზობთ ინტერვიუდან:

- “-ადრე არ განსაჯონ, მოსწავლე, რომ რამე არ იცის. მაგალითად, მე-8 კლასში ახალი დაწყებული აქვთ ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია. რთულია ყველაფრის ერთად სწავლა, დრო მისცენ ახალ გადმოსულ ბავშვებს, რომ რაღაცაში გაერკვნენ, გააცნონ უფრო მეტი ინფორმაცია მასწავლებლისა და მისი სწავლების მეთოდის შესახებ. ვურჩევ მასწავლებლებს ახალ მოსწავლეს თავის გამოჩენის უფლება მისცეს.
- “-ძალიან მინდა მასწავლებლებს ვურჩიო, რომ ახალი მოსწავლეები უკეთ გაიცნონ და კლასსაც უკეთესად გააცნონ, რამდენიმე სიტყვით დაახასიათონ. ეს მოსწავლეს დაეხმარება ახალ კლასთან დაახლოვებაში.“
- -ვფიქრობ, კარგი იქნებოდა სკოლაში რომ იყოს ფსიქოლოგი, რომელსაც შეხება ექნებოდა ახალგადმოსულ ბავშვებთან. აი, მაგალითად, ფსიქოლოგი მეგობრულად გაესაუბრებოდა ახალ მოსწავლეს, კითხავდა რაიმე ხომ არ აწუხებს და სირთულეების გადალახვაში დაეხმარებოდა. ფსიქოლოგებმა უკეთესად იციან, როგორ უნდა მიუდგნენ ადამიანებს.

შედეგების განხილვა

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებში, რომლებმაც პანდემიის დროს შეიცვალეს სკოლა, იკვეთება ორი ჯგუფი: მოსწავლეები, რომლებმაც ადვილად მოახერხეს ახალ გარემოსთან შეგუება და ისინი, რომლებსაც გაუჭირდათ ადაპტირება. მოსწავლეები, რომლებიც მარტივად შეეგუვნენ ახალ გარემოს, თავს უფრო მშვიდად გრძნობდნენ გაკვეთილზე, არ რცხვენოდათ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა და თანაკლასელთათვის დახმარების თხოვნით მიმართვა. მაშინ, როცა მოსწავლეთა ნაწილს არანაირი კომუნიკაცია ჰქონდა კლასთან და სწავლის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგაც კი არ იცოდნენ თუნდაც ერთი კლასელის სახელი. ხშირ შემთხვევაში, ასეთი მოსწავლეები არ იყვნენ საგაკვეთილო პროცესში ჩართული, რაც, თავის მხრივ, აისახებოდა მათ აკადემიურ მოსწრებასა და ემოციურ მდგომარეობაზე.

კვლევების თანახმად, მოსწავლეთა ნაწილის უჭირს სკოლის ცვლილებასთან გამკლავება და ახალ გარემოსთან ადაპტაცია. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ დაწყებითიდან საბაზო ან საბაზოდან საშუალო საფეხურზე გადასვლას მოზარდებზე სხვადასხვა სახის ნეგატიური ეფექტი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორისაა: მიღწევების შემცირება (Alspaugh, 1998), მოტივაციისა (Anderman, Maehr, & Midgley, 1999) და თვითშეფასების დაქვეითება (Eccles et al., 1993;) ასევე, გაზრდილი ფსიქოლოგიური პრობლემები (Chung et al, 1998.;)

ადაპტირება ახალ სასკოლო გარემოსთან უკავშირდება როგორც მოსწავლის მახასიათებლებს (სოციალური კომპეტენციები), ასევე კლასში მოსწავლეების მიმღებლობასა და მასწავლებლის მიერ მოსწავლის ადაპტირების ხელშემწყობ ქცევას/სტრატეგიებს. მეგობრობა და თანაკლასელთა მხრიდან მიმღებლობა მნიშვნელოვნად ეხმარება მოსწავლეს სასკოლო გარემოსთან ადაპტირებაში (Birch & Ladd, 1994). მოსწავლეებს, რომლებსაც ჰყავთ მეგობარი იმ კლასში, სადაც გადადიან, შეუძლიათ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღონ ან მათი დახმარებით გაეცნონ გარემოს (Howes, 1988). ეს მათ ეხმარება, თავიდან აირიდონ არასასურველი გამოცდილება (მაგ: მარტოობის შეგრძნება). კვლევების მიხედვით, აკადემიური მიღწევა იმ მოსწავლეთა, რომლებმაც სკოლის ცვლილების შემდეგ გაიჩინეს ახალი მეგობრები გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე მათი, ვინც მეგობრების გარეშე დარჩნენ (Ladd, 1990). კვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვებს, რომლებიც შედარებით კარგად მიიღეს თანაკლასელებმა, უფრო გაუმარტივდათ ახალ გარემოსთან ადაპტირება, ვიდრე მათ, რომელთა შემთხვევაშიც ასე არ მოხდა (იქვე).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ თავად მასწავლებლებსაც. მოსწავლეებმა, შესაძლოა, გამოიმუშაონ ურთიერთობების შინაგანი მოდელები, რომლებიც დაფუძნებული იქნება იმ შეფასებაზე, რომელსაც მიიღებენ მასწავლებლებისაგან უკუავშირის სახით. ურთიერთობების ამ მოდელებმა, თავის მხრივ, შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვების უნარზე, წარმატებით მოერგონ სკოლას, როგორც სოციო-ემოციურად, ისე - აკადემიურად (Bowlby, 1982; Skinner & Belmont, 1993). მასწავლებლებმა, რომლებიც მხარს უჭერენ თავიანთ მოსწავლეებს, შესაძლოა, მოტივაცია გაუზარდონ უფრო მეტად აქტიურები და ჩართულნი გახდნენ სასკოლო ცხოვრებაში.

კვლევებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ადაპტაცია სკოლაში, ასევე მოსწავლეთა და მშობლეთა ახალი სკოლით კმაყოფილება დამოკიდებულია მასწავლებელთა კეთილგანწყობაზე. იგი გამოიხატება მასწავლებელთა მიერ მოსწავლეების გაცნობით, მათი შექებითა და სამართლიანი შეფასებით, მათთვის ინფორმაციის მიწოდებით სკოლაში

სხვადასხვა ღონისძიების/პროექტის შესახებ, მასწავლებელთა ზრუნვით იმ კონკრეტულ ბავშვებზე, რომლებიც განიცდიან სირთულეებს სწავლაში და სპეციალურ მიდგომას საჭიროებენ (Kucinskiene, Rupsiene, დაუდგ.). გარდა ამისა, კვლევებით გამოიკვეთა ერთ-ერთი საინტერესო ფაქტი, რომ დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეები უკეთ ადაპტირდებიან ახალ გარემოსთან, ვიდრე საბაზო საფეხურის მოსწავლეები (იქვე).

უკვე არსებული კვლევების მსგავსად, ჩვენ მიერ შეგროვებულ მონაცემთა ანალიზის პროცესშიც მთავარ ხელშემშლელ/ხელშემწყობ ფაქტორად გამოიკვეთა თანაკლასელთა და მასწავლებელთა როლი. მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით ინტეგრირდნენ ახალ კლასთან აღნიშნავდნენ, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების წვლილი. ახალ მოსწავლეებს გაცილებით გაუმარტივდათ ადაპტაცია იმ კლასებში, სადაც თანაკლასელებმა დახმარება შესთავაზეს და მასწავლებლებმაც სათანადო ყურადღება მიაქციეს.

ჩვენს კვლევაში შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა თავად ახალი მოსწავლის პირად ინიციატივასაც, რომელზეც გავლენას ახდენდა ამ მოსწავლეების წარსული გამოცდილება (მათ უკვე ჰქონდათ სკოლის რამდენჯერმე შეცვლის გამოცდილება) და პიროვნული მახასიათებლები. ისინი მეტად კომუნიკაბელურები იყვნენ, არ ჰქონდათ ურთიერთობის „კომპლექსი," თავად გამოხატავდენენ ინიციატივას როგორც კლასელებთან, ასევე მასწავლებლებთან ურთიერთობისას.

მოსწავლეები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ახალ გარემოსთან ადაპტირება, ღიად საუბრობდნენ შესაძლო მიზეზებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელშემშლელ ფაქტორთა შორისაა კლასის როლი და პირადი ინიციატივა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ თავად არ იჩენდნენ ინიციატივას და ერჩივნათ, პირველი ნაბიჯი თანაკლასელებს გადაედგათ. ერთი-ერთი მოსწავლე პირდაპირ ამბობდა, რომ, მისი აზრით, ეს უფრო მეტად კლასის მოვალეობა იყო და მათ ადგილას რომ ყოფილიყო, აუცილებლად დაეკონტაქტებოდა და დაეხმარებოდა თანაკლასელების გაცნობაში.

მოსწავლები ასევე აღნიშნავდნენ მასწავლებელთა არასაკმარის ჩართულობას ამ მხრივ. ისინი თვლიდნენ, რომ მათ შეეძლოთ დაგეგმვა რაიმე აქტივობების, რომლებიც საშუალებას მისცემდა ახალ მოსწავლეს უკეთ გაეცნო კლასელები. ერთ-ერთმა რესპონდენტმა მოგვიყვა, რომ მას ძალიან უნდოდა კლასელების გაცნობა და მათთან დამეგობრება, თუმცა ამ ეტაპზე კონტაქტი მხოლოდ დისტანციურად არის შესაძლებელი, ყოველივე ეს კი მისთვის დიდ ბარიერს ქმნის, რადგანაც არ იცნობს, კლასელებს, მათ ინტერესებს, არ იცის, რა თემაზე ესაუბროს. შესაბამისად, თვლის, რომ მნიშვნელოვანია მასწავლებელმა რაიმე აქტივობა დაგეგმოს ამ მხრივ.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ონლაინ ურთიერთობების „კომპლექსი" გამოიყო პირადი ინიციატივის გამოჩენის მნიშვნელოვან ბარიერად. მოსწავლეების ნაწილს ჰქონდა შიში, რომ სოციალურ ქსელში ისინი თავს ისეთებად ვერ წარმოაჩენდნენ, როგორებიც სინამდვილეში არიან და არ სურდათ მათზე მცდარი შთაბეჭდილება შექმნოდა ვინმეს. როგორც ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა: ,,ვირტუალურ სივრცეში რთულია ადამიანის ემოციების ამოცნობა, შესაძლებელია მისი ნათქვამი ვინმემ არასწორად გაიგოს". ამიტომ, საერთოდ თავს იკავებდა კლასელებთან ურთიერთობისაგან. შედეგად, მივიღეთ ის, რომ გამოკითხულთა შორის იყვნენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც რამდენიმე თვეა ახალ კლასში სწავლობენ და არ

იცნობდნენ არცერთ მოსწავლეს. თავის მხრივ, ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა მათ მოტივაციასა და სწავლის ხარისხზე.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები, რომლებიც იყვნენ დამამთავრებელ კლასში ნაკლებად ცდილობდნენ ახალ კალსელებთან კომუნიკაციას. მიზეზი არ იყო იმის შიში, რომ მათზე მცდარი წარმოდგენა შეექმნებოდათ კლასელებს. არამედ, ისინი ფიქრობდნენ, რომ ვეღარ მოასწრებდნენ სკოლაში დაბრუნებას და კლასელების გაცნობა/დამეგობრებას, სკოლის დასრულებამდე რამდენიმე თვე იყო დარჩენილი.

თავის დამკვიდრების გამძაფრებული მცდელობა გამოიკვეთა შედარებით დაბალ კლასებში. მაგალითად: ერთი რესპოდენტი აღნიშნავდა, რომ მას სულ ჰქონდა ჩარული კამერა. უნდოდა, რომ თვალში მოხვედროდა და დამახსოვრებოდა მასწავლებელს.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი იყო „კამერის შიში", რადგანაც, როგორც თავად ამბობენ, ყურადღებას აფანტინებთ. ერთ-ერთი მოსწავლე აღნიშნავს: "როცა კამერა მაქვს ჩარული, თითქოს ყველა მე მიყურებს. როცა მასწავლებელი სხვა რამეზე გადაერთვება მაშინვე კამერას ვთიშავ. ამასთან, კამერა ცუდად აჩენს ადამიანის გამოსახულებას და ამის გამოც ვიკავებ თავს"."კამერის შიშის" გარდა, გამოვყავით "უარყოფის შიშიც", -"არ ვწერ ჩატში, რადგან ხანდახან იქ არ პასუხობენ და არ მინდა მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდე. ან, ჩატში რომ დავწერო ეს ვინ არის საერთოდო იფიქრებენ", -აღნიშნავს რესპონდენტი.

მოცემული კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ რეკომენდაციას. ამ რეკომენდაციების გათვალისწინება დაეხმარება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ახალგადმოსული მოსწავლეები შედარებით მარტივად ჩართონ სასწავლო პროცესში და ხელი შეუწყონ მათ გარემოსთან ადაპტაციას.

მნიშვნელოვანია, დამრიგებლებმა გაიაზრონ თავიანთი როლი ამ პროცესში და იგრძნონ პასუხისმგებლობა ახალი მოსწავლის მიმართ.

- მასწავლებელი, სასურველია, წინასწარ შეხვდეს და გაესაუბროს ახალ მოსწავლეს მისი უკეთ გაცნობის მიზნით. მასწავლებელი, რომელიც კარგად იცნობს თავის მოსწავლეს, უკეთესად დაეხმარება სასკოლო გარემოსთან ინტეგრირებაში.
- მნიშვნელოვანია დამრიგებელმა კლასში შემომსვლელ მასწავლებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ახალი მოსწავლის შესახებ.
- სასურველია, მასწავლებლებმა ახალ მოსწავლეებს თავის გამოჩენის საშუალება მისცეს, ხშირად შეაქონ ისინი, რაც მათ თვითშეფასებას აამაღლებს და გახდის მეტად თავდაჯერებულს.
- დამრიგებელმა სასურველია, იმუშავოს კლასთან, გაუღვივოს ემპათიის გრძნობა, აუხსნას მათი წილი პასუხისმგებლობა ახალი მოსწავლის მიმართ, ესაუბროს იმ სირთულეების შესახებ, რომელიც სკოლის შეცვლასთან არის დაკავშირებული. ყოველივე ამის უკეთესად გასააზრებლად, ვფიქრობთ, შედეგიანი იქნება როლური თამაშები და სხვა ინტერაქციული აქტივობები ამ თემასთან დაკავშირებით.
- სასურველია, მასწავლებელმა დაგეგმოს კლასგარეშე აქტივობები, დისკუსიები, რათა მოსწავლეებმა აღმოაჩინონ საერთო ინტერესები, ჰქონდეთ სასაუბრო თემა, შედეგად, ძველ და ახალ მოსწავლეებს შეეძლებათ კლასის გარეთაც გააგრძელონ კომუნიკაცია.

დასკვნა

ფენომენოლოგიური მიდგომით მოსწავლეთა სკოლის შეცვლის გამოცდილების შესწავლამ, მოსწავლეების გამოცდილების აღწერისა და ამ გამოცდილებებში განსხვავებების განმაპირობებელი შესაძლო იდიოსინკრატული და გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორების გამოკვეთის საშუალება მოგვცა. ამ ფაქტორებს შორის ნაწილი უკვე ცნობილი იყო სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევებიდან. ნაწილი კი უშუალოდ ონლაინ რეჟიმში სწავლას უკავშირდება.

2020 წლის 1 მარტიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში სკოლის შეცვლის გამოცდილების მქონე თბილისელ მოსწავლეთა ნაწილი ადვილად ადაპტირდა, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოსწავლეები თავს უფრო მშვიდად გრძნობდნენ გაკვეთილზე, არ რცხვენოდათ საგაკვეთილო პროცესში ჩართვა და თანაკლასელთათვის დახმარების თხოვნით მიმართვა. ნაწილი კი წააწყდა ისეთ გამოწვევებს, როგორიცაა ონლაინ ურთიერთობის "კომპლექსი"- "კამერის შიში", "უარყოფის შიში", იდენტობის პრობლემა, მოტივაციის ნაკლებობა, მათი ქცევების არასწორად ინტერპრეტაციის საფრთხე. ადაპტაციის პროცესში მოსწავლეები მთავარ ხელშემწყობ/ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებდნენ პირად ინიციატივასა, კლასისა და მასწავლებლის როლს. ის მოსწავლეები, რომელთა მიმართაც კლასმა გამოხატა ინტერესი და გამოიჩინა გაცნობის ინციატივა, თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობდნენ ახალ გარემოში. ყოველივე ამაზე, თავის მხრივ, გავლენა იქონია პიროვნულმა თვისებებმა (იყვნენ კომუნიკაბელურები) და წინარე გამოცდილებამ (მათ უკვე ჰქონდათ მანამდეც სკოლა შეცვლილი და ახალი გარემო და ურთიერთობები არ იყო უცხო). მოსწავლეები, რომელთაც გაუჭირდათ კლასთან ადაპტაცია, ამბობდნენ, რომ კლასსა და მასწავლებლებს განსაკუთრებული ინიციატივა არ გამოუჩენიათ მათ მიმართ. გარდა ამისა, ახალი კლასელების გაცნობაც დისტანციურად არ იყო მათთვის კომფორტული. რამდენიმე მოსწავლე ყურადღებას ამახვილებდა პირველ შთაბეჭდილებაზე, არ სურდათ თანაკლასელებს მათზე შეხედულება სოციალური ქსელის ან ონლაინ სასწავლო პლატფორმის მეშვობით შექმნოდათ, რადგანაც ამ სივრცეში უჭირდათ თავის წარმოჩენა და ელოდებოდნენ, თუ როდის დაუბრუნდებოდნენ საკლასო ოთახებს.

როგორც მოსწავლეების ნარატივების ანალიზით იკვეთება, მარტივად ადაპტაციას ხელი შეუწყო მოსწავლეთა სკოლის შეცვლის წინარე გამოცდილებამ, პიროვნულმა თვისებებმა, მასწავლებლის როლმა. ამავე ფაქტორებს უკავშირდება ადაპტაციის სირთულეც. შესაბამისად, თუ ამ ფაქტორების დიდი ნაწილი ზოგადად სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ნაწილია, უშუალოდ ონლაინ რეჟიმში სწავლისთვის დამახასიათებელია მოსწავლეთა შორის ნაკლები კომუნიკაცია. გამოკითხულთა უმრავლესობამ ვერ შეძლო ახალ კლასთან ადაპტირება. რამდენიმე მოსწავლე საერთოდ არც კი იცნობდა თანაკლასელებს და არ ჰქონდა მათთან არანაირი ურთიერთობა, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა მათ მოტივაციაზე ჩართულიყვნენ საგაკვეთილო პროცესში. რეალურ სასწავლო გარემოში ბუნებრივად/დაუგეგმავად ურთიერთობენ მოსწავლეები, ხოლო დისტანციური სწავლების დროს მათ თავად უწევთ ინიციატივის გამოჩენა. ეს კი რიგ მოსწავლეთათვის სირთულეს წარმოადგენდა.

როგორც ამ საკითხზე ლიტერატურიდან ირკვევა, ადაპტაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მიმღებლობა/მეგობრობა, მასწავლებლის როლი. ამ მიმართულებით ჩვენი რეკომენდაციაა დამრიგებელი აქტიურად იყოს ჩართული მოსწავლის ადაპტაციის პროცესში. მოსწავლეთა უკეთესად გაცნობის მიზნით, დამრიგებელს შეუძლია, ჩაატაროს კლასგარეშე აქტივობები, შესთავაზოს როლური თამაშები, მოაწყოს დისკუსიები.

მოცემული კვლევა დაგვეხმარება არა მარტო ონლაინ სწავლების დაგეგმვისას ახალი მოსწავლეების საჭიროებების განსაზღვრაში, არამედ სწავლის რეალურ გარემოში გაგრძელების შემდეგაც, რათა ხელი შევუწყოთ მათ ახალ გარემოსთან უკეთ და მარტივად ადაპტაციას.

ბიბლიოგრაფია

კოჰენი, ლ., მანიონი ლ. კვლევის მეთოდები განათლებაში, მეექვსე გამოცემა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ხელმისაწვდომია https://library.iliauni.edu.ge/ebooks/luis-koheni-kvlevis-methodebi-ganathlebashi/

Birch, S. H., & Ladd, G. W. (1996). Interpersonal relationships in the school environment and children's early school adjustment: The role of teachers and peers. Social motivation: Understanding children's school adjustment, 15, 199-225.

AlspaughJ.W. (1998). Achievement lossassociated with the transition to middle school and high school. The Journal of Educational Research, 9220-25

Anderman, E. M., Maehr, M. L., & Midgley, C. (1 999). Declining motivation after the transition to middle school: Schools can make a difference. Journal of Research and Development in Education, 32, 131-1 47.

Eccles, J. S., Wigfield, A., Midgley, C, Reuman, D., Mac Iver, D., & Feldlaufer, J. (1993). Negative effects oftraditional middle schools on students' motivation. The Elementary School Journal, 93553-574.

Chung, H., Elias, M., & Schneider, K. (1 998). Patterns of individual adjustment changes during middle school transition. Journal of School Psychology, 36, 83-1

Howes, C., Rubin, K. H., Ross, H. S., & French, D. C. (1988). Peer interaction of young children. *Monographs of the society for research in child development*, i-92.

Ladd, G. W. (1990). Having friends, keeping friends, making friends, and being liked by peers in the classroom: Predictors of children's early school adjustment?. *Child development*, *61*(4), 1081-1100.

Birch, S. H., & Ladd, G. W. (1996). Interpersonal relationships in the school environment and children's early school adjustment: The role of teachers and peers. *Social motivation: Understanding children's school adjustment*, *15*, 199-225.

Akos, P., & Galassi, J. P. (2004). Middle and high school transitions as viewed by students, parents, and teachers. *Professional School Counseling*, 212-221.

Rupsiene, L., & Kucinskiene, R. (2005). Influence of Teachers' Behaviour on Students' Adaptation after School Transition. *Online Submission*.

დანართი # 1

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
LEPL - EDUCATION MANAGEMENT INFORMATION SYSTEM

თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ.№1ა www.emis.ge ელ.ფოსტა: info@emis.ge ტელ.: +995 322 200220
№1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia www.emis.ge E-mail: info@emis.ge Phone: +995 322 200220

MES 8 20 0001150464

03/12/2020

მოქალაქე ანი საჯაიას
მის: ქ. თბილისი,ნ. ჩხიკვაძის ქ.N6

ქალბატონო ანი,

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განიხილა თქვენი 2020 წლის 9 იანვრის განცხადება და გაცნობებთ, რომ 2020 წლის 1 მარტიდან 1 დეკემბრამდე თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო საფეხურის 2162 და საშუალო საფეხურის 1716 მოსწავლემ შეიცვალა სკოლა.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი

დანართი #2: ინტერვიუს პროტოკოლის ფორმა

საშუალო და საბაზო საფეხურის სკოლის მოსწავლეების ინტერვიუს ფორმა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება: ----------
რესპოდენტი (სახელი და გვარი): ----------
ინტერვიუერები: ანი საჯაია, ნატო ქველაძე, რუსუდან მარკოზაშვილი

შესავლის პროტოკოლი

ჩვენ ვართ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის განათლების სკოლის სტუდენტები: ნატო ქველაძე, ანი საჯაია და რუსუდან მარკოზაშვილი. კურსის "კვლევის მეთოდები განათლებაში" ფარგლებში ვატარებთ კვლევას, რომლის მიზანია, შევისწავლოთ იმ მოსწავლეთა პირადი გამოცდილება, რომლებმაც პანდემიის პირობებში შეიცვალეს სკოლა. იმისათვის, რომ შევძლოთ ინფორმაციის სრულფასოვნად მიღება და დამუშვება, გვსურს, რომ ჩავიწეროთ ინტერვიუს აუდიო ვერსია. მონაცემები იქნება კონფიდენციალური და აუდიოჩანაწერებთან წვდომა ექნებათ მხოლოდ ამ პროექტის მონაწილე მკვლევრებს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, შეტყობინების სახით მოგვწერეთ სიტყვა შესაბამისი ფორმულირებით: ვეთანხმები ან არ ვეთანხმები ინტერვიუს აუდიოჩაწერას. ინტერვიუში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, შეწყვიტოთ ინტერვიუ ან გამოტოვოთ კითხვა თუ თავს არაკომფორტულად იგრძნობთ. ინტერვიუს ხანგრძლივობა არ გადააჭარბებს 40 წუთს. ინტერვიუ შედგება ღია კითხვებისგან და თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ ისაუბროთ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით.

შესავალი
თქვენი ამ კვლევაში რესპოდენტად შერჩევის მიზეზი იყო ის, რომ თქვენი პირადი გამოცდილება შეესაბამება ჩვენი კვლევის მიზანს და სრულად აკმაყოფილებს რესპოდენტთა შერჩევის კრიტერიუმებს.
ინტერვიუს დაწყებამდე, ხომ არ გნებავთ, რომ მოგვაწოდოს რაიმე სახის ინფორმაცია თქვენ შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ინტერვიუს წარმართვის დროს. მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის და თუ არ გაქვთ დამატებითი კითხვები დავიწყოთ ინტერვიუ.

რესპოდენტის მახასიათებლები

ასაკი:
კლასი:
საგანმანათლებლო დაწესებულება:
რამდენი ხანია რაც ახალ სკოლაში გადმოხვედით?
აქამდე რომელ სკოლაში სწავლობდით? (საჯარო თუ კერძო)
პირველად შეიცვალეთ სკოლა? თუ მანამდეც შეგიცვლიათ?

ინტერვიუს კითხვები:

1. გაიხსენეთ პირველი დღე სკოლაში და მოგვიყევით რაც შეიძლება დაწვრილებით ამ დღის გამოცდილების შესახებ.
2. როგორც თქვენ ახსენეთ, ---------, კიდევ მეტს ხომ არ გვეტყვით ამის შესახებ?
3. რა გრძნობაა თქვენთვის იყოთ ახალი მოსწავლე დისტანციური სწავლების დროს?
4. როგორია თქვენი გამოცდილება ახალ კლასელებთან ურთიერთობის?
5. როგორც თქვენ ახსენეთ, ------- შეგიძლიათ გაიხსენოთ უფრო დეტალურად?
6. როგორია თქვენი გამოცდილება ახალ მასწავლებლებთან?
7. როგორც თქვენ ახსენეთ,------ მოგვიყევით ამაზე უფრო მეტი.
8. მოცემულ თემასთან დაკავშირებით სხვა რაიმე ინფორმაციის მოწოდება ხომ არ გსურთ?